ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N24

ქ.ზუგდიდი **9 ოქტომბერი 2023 წელი**
14:00 სთ

2023 წლის 9 ოქტომბერს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე გიორგი სორდია.

სხდომას ესწრებოდნენ: გიორგი სორდია, ირაკლი გოგოხია, კახაბერ ჩანგელია, ოთარ ქადარია, დავით ფიფია, სოსო გოგოხია, დავით ვეკუა, დარეჯან გაბედავა, ლაშა ბეჭვაია, მაია კალანდია, ბეჟან შანავა.

სხდომას არ ესწრებოდნენ: გიგა ფარულავა(მივლინება), თაზო ფაცაცია, თამუნა ჯიქია, ჯონი ჯიქია, გიორგი კორტავა,

სხდომას ასევე ესწრებოდა: ლაშა ადეიშვილი-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი; **.....**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილების უფროსი.

სხდომის მდივანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი .....

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის შემდეგ სხდომას ესწრებოდა კომისიის 16 წევრიდან 11 წევრი.
კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილების მე-3 კვარტალის ანგარიშის მოსმენა.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილების უფროსი

2. სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს სხდომის დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა დღის წესრიგს მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **პირველ საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „დღეს შევიკრიბეთ, რათა მოვისმინოთ მერიის სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილების შუალედური ანგარიში. სამსახურის წინა მოსმენის დროს იყო აღნიშნული რომ განყოფილებას ქონდა გეგმები. ახლა გვაინტერესებს რა განხორციელდა დასახული გეგმებიდან და კიდევ რა ახალი გეგმები და მიზნები აქვს განყოფილებას დაგეგმილი მომავალში.“

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილების უფროსმა **განმარტა:** „ძირითადი პირველი პროგრამა ჩვენი იყო აგრარული რუკა. ამ აგრარული რუკის ქოლგის ქვეშ შედიოდა ნიადაგების შემადგენლობის ლაბორატორიული კვლევის ჩატარება სოფლების და ადმინისტრაციული ერთულების მიხედვით და ელექტრონული პლატფორმის შექმნა-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მართვის გეოსაინფორმაციო სისტემა. დღეის მდგომარეობით ტენდერები ჩატარდა ყველა მიმართულებით. რუკის მომზადებაზე ტენდერი უკვე დასრულდა, ფაქტიურად მიღება-ჩაბარების პროცესში ვართ. რუკა გაკეთებულია და რადგან ეს ელექტრონული და ტექნიკური მახასიათებლებია ვიბარებთ ყველაფერს და ძალიან საინტერესო და კარგი რუკა გამოვიდა. ტენდერი მოიგო შპს „---------“, რომელიც ძალიან გამოცდილია ამ სფეროში.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალნდიამ აღნიშნა: „რა და რა მახასიათებლები აქვს რუკას?“

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილების უფროსმა **განმარტა:** „რუკა, რომელიც ქალბატონ მ.მ-ს ჰქონდა ის გავაციფრულეთ სრულად თავისი ლეგენდებით, ქართული და ინგლისური ვერსიებით. ზოგადად, რუკის ორი ვერსია იქნება ქართული და ინგლისური. ამ რუკას დაემატება თანამედროვე, ახალი ლაბორატორიების მიერ კვლევების შედეგად მიღებული მონაცემები და ჩაბარების ბოლო ვადა არის 20 ოქტომბერი.“

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჩანგელიამ აღნიშნა: „კონკრეტულად რა მონაცემებზეა საუბარი?“

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილების უფროსმა **განაცხადა:** „რუკაზე დატანილია ადმინისტრაციული დაყოფა, ფაქტიურად სოფლის ძველი და ახალი ვერსიაც იქნება. ორივე ფენა დაიდება ამ პლატფორმაზე, რომელიც საჯარო იქნება. რადგან ვაკეთებდით ასეთ დიდ პროექტს, პროფესიონალებთან გავიარეთ კონსულტაცია, მათ შემოგვთავაზეს ამაზონ ვებ სერვისზე (AWS ACCOUNT) ბლოკის შექმნა, სადაც ეს ყველა საინფორმაციო ბაზა ჩაიტვირთება. აქ მარტო იმაზე არ არის საუბარი, რაც გავაკეთეთ და საჯაროა, არამედ ყველანაირი საინფორმაციო ბაზა რაც აგრარულ სფეროს, გარემოს დაცვას, ინფრასტრუქტურას, რკინიგზას შეეხება და ზოგადად, ყველანაირი რუკების ჩადება შეიძლება. ეს იქნება დიდი მოცულობის საინფორმაციო ბაზა. ყველანაირი მონაცემის გატანა შეიძლება ამ ბაზიდან, მაგალითად თუ ინფრასტრუქტურას დასჭირდა მონაცემები თავისუფლად შეუძლია ინფორმაციის გატანა. ჩვენ აგრარული მომართულებით გაგვაქვს მონაცემები.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „ამ მომსახურებაში მუნიციპალიტეტი რამე თანხას იხდის?“

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილების უფროსმა **განაცხადა:** „ამ მომენტისთვის მოსაკრებელი არის 30 დოლარის ექვივალენტი ლარში, მაგრამ იანვრიდან ეს პალტფორმები განახლდება და ბაზარზე არის კარგი ვებ-სერვისები და უფასოზე შეიძლება გადატანა და ალბათ უფასოდ იქნება. მერიის გვერდიდან შეიძლება ამ პლატფორმებზე გადასვლა.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „რამდენი ლოკაციაა შესწავლილი და დატანილი რუკაზე?“

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილების უფროსმა **განაცხადა:** „ამ ეტაპზე, წელს 87 ლოკაციაა, რაც გავატენდერეთ. გარკვეული ნაწილი მომავალი წლის ბიუჯეტში არის გათვალისწინებული.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „განსხვავება როგორია ამ 87 ლოკაციას შორის, მახასიათებლებს ვგულისხმობ.“

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილების უფროსმა **განაცხადა:** „ჯერ მუშაობა მიმდინარეობს და როგორც მოგახსენეთ ოქტომბერში ხდება ჩაბარება და ამის შემდეგ გვექნება მონაცემები.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „ტენდერის თანხა რამდენი იყო?“

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილების უფროსმა **განაცხადა:** „ნიადაგებზე სატენდერო თანხა იყო 26 000(ოცდაექვსიათასილარი) ლარზე იყო გატანილი, მაგრამ ტენდერი 22 000 (ოცდაორიათასილარი) ლარზე გაიმარჯვა კონკრეტულმა კომპანიამ. 87 ლოკაციაა თავიდან თითო 400 ლარზე იყო გვქონდა გათვლილი, მერე წინასატენდერო გამოკითხვების შედეგად ფასმა დაიწია და ტენდერზეც კიდევ დაიწია ფასმა.“

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჩანგელიამ აღნიშნა: „რუკა საბოლოოდ როდის იქნება მზად.“

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილების უფროსმა **განაცხადა:** „ნიადაგის მონაცემები ოქტომბრის ბოლოს იქნება მზად. აგრარული რუკა უკვე მიღება-ჩაბარების პროცესია და ნიადაგის ლაბორატორული კვლევა რომ მოგვივა ცალკე ფენად გამოჩნდება რუკაზე და დატანილი იქნება ყველა უნიკალური კოდი, რომელიც იქნება წერტილოვანი, ანუ სოფელში რომელ ადგილზე როგორი სახის ნიადაგია.“

აზრი გამოთქვეს: დარეჯან გაბედავამ აღნიშნა: „თქვენს მიერ ნახსენები 87 ლოკაცია კონკრეტულად რომელია.“

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილების უფროსმა **განაცხადა:** „87 ლოკაცია არის 21 ადმინისტრაციული ერთეულია ამ წელს. მომავალ წელს დარჩენილი 27-იც დასრულდება, რუკა იქნება სრულყოფილი და დაახლოებით 200 წერტილი იქნება მონიშნული. რუკა, რომელზეც ვსაუბრობთ ქალბატონ მ.მ-ს საკუთრებაში არსებული რუკის ბაზაზეა შექმნილი, რომელიც 1958 წლით თარიღდება და უნიკალურია.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ განაცხადა: „იმ დონის უჯრედული კვლევა, რაც ახლა ტარდება რა თქმა უნდა მაშინ არ იქნებოდა, მაგრამ ძირითადი მახასიათებლები, რაც იმ რუკაზეა დღეს რომ ჩაატარო მინიმუმ მილიონი დაგჭირდება.“

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილების უფროსმა **აღნიშნა:** „გარდა ამ რუკისა, ვახორციელებთ დაფნის ბაღების მოწყობის ხელშეწყობის პროექტს, რომელზეც ტენდერი გამოვაცხადეთ. თავიდან გამოკითხვებით გვქონდა 60 000(სამოციათასილარი) ლარი 30 000(ოცდაათიათასი) ნერგზე, მერე ტენდერის წინა გამოკითხვებით ფასმა დაიწია 51 000(ორმოცდათერთმეტიათასილარი) ლარამდე, ხოლო ტენდერზე 30 000(ოცდაათიათასილარი) ლარზე ჩამოვიდა და ტენდერი მოიგო ორგანიზაცია „შამათია“-მ ხობის მუნიციპალიტეტიდან. დაფნის ნერგების გაცემას დავიწყებთ ამ კვირიდან. კომისიის ბოლო სხდომა გვაქვს დღეს 16:00 საათზე. ბენეფიციარებს, ვისაც სრულყოფილად აქვს დოკუმენტაცია მომზადებული და ნიადაგი დამუშავებული იმათზე დავიწყებთ ნერგების გაცემას. 5 000 (ხუთიათასი) ნერგი შემოდის ყოველჯერზე და ოქტომბრის ბოლომდე მოვრჩებით დარიგებას. განაცხადი შემოიტანა 65 ბენეფიციარმა, ერთს დისკვალიფიკაცია მიეცა და დარჩა 64. ბოლო ეტაპისთვის განცხადებები ყველა მივიღეთ და განხილვის შემდეგ დაახლოებით 58 ბენეფიციარი დარჩება, რადგან ზოგიერთმა უარი განაცხადა. თითეულ ბენეფიციარზე გაიცემა 500 ნერგი.“

აზრი გამოთქვეს: დარეჯან გაბედავამ განაცხადა: „კონკრეტულად რომელი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგგენლები არიან ბენეფიციარები.“

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილების უფროსმა **განაცხადა:** „დაფნა ფაქტიურად ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ხარობს და შესაბამისად ფაქტიურად ყველა ადმინისტრაციული ერთეული გვაქვს მოცული, მაგრამ ეს ნერგები გაიცემა სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე. მერიაში შემოსული იყო ორგანიზაცია „---------“ დასავარგებელი სარდაფის მოწყობის და „ვიტრინა მაცივრის“ შესყიდვის წინადადებით. აღნიშნული ორგანიზაცია ახორციელებს ქალთა ეკონოკიმური გაძლიერების პროგრამებს მერძევეობის მიმართულებით. ეს წინადადება გატანილ იქნა ბიუჯეტზე თქვენთან შეთანხმებით დაფნის პროგრამის ეკომინიიდან დარჩენილი თანხით დაფინანსდა ბენეფიციარი ნ.ღ. (სარდაფი) კახათიდან, ყველაზე აქტიური წარმომადგენელი ამ მიმართულებით ჩვენს მუნიციპალიტეტში. უკვე ტექნიკური სამუშაოები და შესყიდვების პროცესი მიმდინარეობს. ეს ჯდება 12 000(თორმეტიათასილარი) ლარი. რაც შეეხება ვიტრინას, გამოკითხვები ჩავატარეთ, კომისია შეიკრიბება და გამოავლენს გამარჯვებულს. სარდაფი შესაბამისი სტანდარტით მოეწყობა და კიდევ ერთი კარგი და საინტერესო ლოკაცია შეიქმნება აგროტურიზმის მიმართულებით.“

აზრი გამოთქვეს: ოთარ ქადარიამ აღნიშნა: „დაფნის პროგრამის ფარგლებში დარჩენილი ეკონომიიდან გაკეთდა ეს ორი პროექტი? და ასევე ამოწურულია თუ არა თანხა სრულად რაც თქვენთვის იყო გამოყოფილი.“

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილების უფროსმა **განაცხადა:** „კი ამ ეკონომიის ფარგლებში მოხდა დაფინანსება. რაც შეეხება თანხების ათვისებას, ჩვენი ბიუჯეტი იყო 120 000(ასოციათასილარი)ლარი და ფაქტიურად 93 000(ოთხმოცდაცამეტიათასილარი) ლარი არის დატენდერებული, დაემატება ეს 15 000(თხუთმეტიათასილარი) ლარი და პატარა ნაშთი დაგვრჩება ალბათ.

კიდევ ერთი პროექტი გავაკეთეთ. აგვისტოს თვეში ბათუმში ტარდებოდა ღვინის საერთაშორისო ფესტივალი და მოგვმართეს მეწარმეებმა ფესტივალში მონაწილეობის მოსაკრებლის გადახდის თაობაზე თითოეულზე 400(ოთხასილარი) ლარის ოდენობით და ეს თანხა გადახდილ იქნა გაწეული ეკონომიიდან. ამ ფესტივალზე კარგი შედეგები იქნა მიღებული, რადგან რამოდენიმემ კონტრაქტი გააფორმა თავის პროდუქციაზე (არაყი).

აზრი გამოთქვეს: დარეჯან გაბედავამ აღნიშნა: „ზუგდიდში არიან ღვინის მწარმოებლები?“

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილების უფროსმა **განაცხადა:** „ზუგდიდში ღვინის დიდი მწარმოებლები არ გვყავს, მაგრამ არიან ოჯახური ტიპის მეღვინეები არიან, რომლებსაც მეგრული ჯიშები გამოყავთ.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განაცხადა: „აგრარულ რუკასთან დაკავშირებით მინდა გითხრათ, რომ ლაბორატორიული კვლევები მორჩება ვგეგმავთ დიდი პრეზენტაციის გამართვას ყველანაირი მონაცემებით, როგორც რუკის, ასევე საიტს.“

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილების უფროსმა **განაცხადა:** „რუკასთან დაკავშირებით დამატებით მინდა გითხრათ, რომ მასზე წელს დაიტანება მოცვის ფენების კადასტრი, რომლითაც დაინტერესებულ პირს შეეძლება გაიგოს ზუგდიდის რომელ ადმინისტრაციულ ერთეულშია გაშენებული მოცვის კულტურა. მომავალ წელს თხილნარს დავამატებთ და ზოგადად შესაძლებელი იქნება ყველა კულტურის დამატება და ფაქტიუირად გვექნება ელეტრონული სტატისტიკა სრულყოფილად.“

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ აღნიშნა: „მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციული ერთეულის მთლიან შეკვრას როდისთვის გეგემავთ.“

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილების უფროსმა **განაცხადა:** „პროექტით მომავალ წელს უნდა დასრულდეს რუკის შედგენა საბოლოოდ.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „ბატონო გიორგი გაქვთ თუ არა თხილის პლანტაციების სრული ბაზა?“

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილების უფროსმა **განაცხადა:** „ჩვენ მთლიანი ბაზა არ გვაქვს. თხილის მოსავლის სუფსიდირება რომ ხდებაოდა იმ პროგრამის ფარგლებში ჩვენ ვიყავით ხელშემწყობი და არა განმახორციელებელი. როდესაც სოფლის განვითარების სააგენტო მორჩევა თხილის პლანტაციების სრული ბაზის შექმნას. მოვითხოვთ მათგან მონაცემებს და შესაბამისად დავიტანთ აღნიშნულ რუკაზე."

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ, ასევე ითხოვთ თუ არა ბიუჯეტის დამატებას?"

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილების უფროსმა **განაცხადა:** „წელს დაახლოებით 140 000(ასორმოციათასილარი) ლარის მოთხოვნას ვგეგმავთ, რაც წლევანდელზე 20 000(ოციათასილარი) ლარით მეტია. წელს გამოიკვეთა ტრენინგებზე, შეხვედრებზე და ხელშეყობაზე მოთხოვნა, ამ მიმართულებით ჩვენ თანხებში შეზღუდული ვიყავით და მომავალ წელს ამ მიმართულებით ვამატებთ 15 000(თხუთმეტიათასილარი) ლარს, რაც ფესტივალებზე მეწარმეთა ხელშეწყობისთვის იქნება გახარჯული."

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ აღნიშნა: „საკმარისია რა თანხასაც იმატებთ, ანალიზი თუ გაქვთ გაკეთებული?"

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილების უფროსმა **განაცხადა:** „ბაზარზე რაც საჭიროა დღეს სოფლის მეურნეობისთვის და რა პრობლემებიც არის ამას ძალიან დიდი თანხები უნდა. ჩვენ ვსაუბრობთ აქ ხელშეწყობის მიმართულებით პატარა პროექტებზე."

აზრი გამოპთქვეს: დავით ფიფიამ აღნიშნა: „ფაროსანასთან ბრძოლის წინააღმდეგ მიმართულებით თუ გაქვთ დაგეგმილი რამე ღონისძიებები."

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილების უფროსმა **განაცხადა:** „ფაროსანას მიმართულებით ყველამ ვიცით, რომ ამ პროექტს სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო ახორციელებს და ჩვენ აქ ხელშეწყობის რეჟიმში ვართ. ძირითდად, ამ პერიოდისთვის ზუგდიდში ცივი შესხურება 3200 ჰა-ზეა შესრულებული, მათ შორის სიმინდის ყანებშიც. სოფლის პერიმეტრები, სადაც განთავსებულია სპეციალური ფერემონები 4600 ჰა-ზეა დამუშავებული, ასევე ტყის პერიმეტრებშიც."

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ განაცხადა: „რა პრეპარატით ხდება ფაროსანას შეწამვლა?"

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილების უფროსმა **განაცხადა:** „პრეპარატებში ჩვენ არ ვერევით. პერპარატების შერჩევა ექსპერტების დონეზე ხდება."

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განაცხადა: „ჩვენი ხელშეწყობით მოხდა სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებსა და მეფუტკრეებს შორის, რომლებიც საუბრობენ პრობლემებზე, რაც წარმოიშვა ფუტკრებისთვის ფაროსანას შეწამვლის შემდეგ, რადგან ფაროსანასთან ერთად იწამლება ფუტკრებიც. ამ შეხვედრის შემდეგ სამწუხაროდ, ვერანაირი შეთანხმება ვერ მოხდა მხარეებს შორის."

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ განაცხადა: „ის პრეპარატი, რომელსაც იყენებს სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო არანაირ შედეგს არ იძლევა. არსებობს თუ არა დასკვნა თუ რა პრეპარატით იწამლება ეს მავნებლები."

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილების უფროსმა **განაცხადა:** „სპეციალურ ბრენდულ მაღაზიებში არიან კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც კონსულტაციებს უწევენ მოსახლეობას. ასეთი კითხვით თუ მიმართავთ სააგენტოს დაახლოებით მოდის მსგავსი შინაარსის პასუხი. რომ კონკრეტული ქიმიური ნივთირების შემცვლელი პრეპარატის გამოყენება იქნება რეკომენდებული და არა კონკრეტული რომელიმე ბრენდის რეკომენდაცია, რადგან ვერ მიუთითებენ."

აზრი გამოთქვეს: ოთარ ქადარიამ განაცხადა: „ნებისმიერ წამალს აქვს თავისი აგროვადა, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში მუშაობს. თუ ერთმა მოსახლემ თუ შეწამლა და მეორემ არა, შეწამვლას ნაკლები ეფექტი აქვს. ამიტომ ყველამ ერთდროულად უნდა შეწამლოს შედეგი რომ მივიღოთ.“

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ განაცხადა: „მოვმართოთ სამინისტროს დადოს დასკვნა როგორი შემადგენლობის პრეპარატით შეიძლება ვებრძოლოთ ამ მავნებლებს.“

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილების უფროსმა **განაცხადა:** „მე ერთი რამ შემიძლია მსგავსი შინაარსის წერილი გავაგზავნო.“

აზრი გამოთქვეს: დარეჯან გაბედავამ განაცხადა: „ჩვენთან ვინმე აწარმოებს ქვევრის ღვინოს.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განაცხადა: „ჩვენთან სინესტეა და შესაბამისად ქვევრის კულტურა არ არის, მით უმეტეს რეალიზაციის მიმართულებით. შეიძლება ვინმეს ქონდეს ქვევრის ღვინო მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „მადლობა ბატონო გიორგი და ბატონო ლაშა მობრძანებისთვის, თქვენ სამსახურს რომ გაგვაცანით თქვენი მუშაობის შუალედური ანგარიში, თუ რა გააკეთეთ და რას გეგმავთ მომავალში. დღეს რაზეც იყო საუბარი იმის თითქმის 90% შესრულებულია, რაც დარჩენილია იმედია წლის ბოლომდე შესრულდება, ასევე დიდი ინტერესით დაველოდებით აგრარული რუკის პრეზენტაციას.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არ აქვთ სხვა წინადადებები საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მიერ დამატებით განსხვავებული წინადადებები არ გამოთქმულა.

გადაწყვიტეს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილების მე-3 კვარტალის ანგარიშის მოსმენა მიღებულ იქნა ცნობად.

სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით წინადადებები არ გამოთქმულა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა
და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი სორდია

ხელმოწერილია